

საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №2, 1992 წელი, მუხ. 100) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

ა) კანონის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:
„ვ¹) მედალი „სამოქალაქო თავდადებისათვის“.

ბ) კანონის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაწესდეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე ერთდროული ფულადი პრემია:

- ა) ეროვნული გმირის ორდენზე – 10 000 ლარი;
- ბ) წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე – 6 000 ლარი;
- გ) დავით აღმაშენებლის ორდენზე – 4 000 ლარი;
- დ) თამარ მეფის ორდენზე – 1 000 ლარი;
- ე) ბრიწყინვალების საპრეზიდენტო ორდენზე – 1 000 ლარი;
- ვ) ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე – 2 000 ლარი;
- ზ) ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე – 1 000 ლარი;
- თ) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე – 600 ლარი;
- ი) ღირსების ორდენზე – 600 ლარი;
- კ) მედალზე „სამოქალაქო თავდადებისათვის“ – 1 000 ლარი;
- ლ) მედალზე „მხედრული მამაცობისათვის“ – 400 ლარი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.